

**A Magical Fairy Tale Containing the Story of a Stepchild and
a Stepmother in Laz Folklore**

**გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ჯადოსნური
ზღაპარი ლაზურ ფოლკლორში**

Tsiala Narakidze

Researcher at the Department of Folklore, Dialectology
and Emigrant Literature of Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University,
e-mail: tsiala.narakidze@bsu.edu.ge

Abstract. The article deals with the discussion of magical fairy tales containing the story of a stepchild and a stepmother.

The work is noteworthy to the extent that fairy tales recorded from the Laz people living in the village of Sarpi in the Republic of Turkey, are used as research material, which allows us to fully analyze the Laz fairy tale epic coming from the depths of centuries (in particular, the magical tales that talk about the relationship between a stepchild and a stepmother) and draw appropriate conclusions.

It should be noted that in Laz fairy tale epic, the relationship between the hero and the anti-hero is related to the problem of good and evil, which ultimately ends with the victory of the hero of the tale and the defeat of the anti-hero. i.e. Good triumphs over evil.

A wicked stepmother and her spoiled daughter are duly punished by God. Kind and hardworking stepdaughter overcomes all hardships with dignity and becomes the wife.

Key words: Lazian, fairy tale, folklore, verbal folklore, stepchild, stepmother, hero, anti-hero.

ციალა ნარაკიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,
დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი,
ელ-ფოსტა: tsiala.narakidze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: სტატია ეხება გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ჯადოსნური ზღაპრების განხილვას.

ნაშრომი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც საკვლევ მასალად გამოყენებულია გაღმა ანუ თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სოფელ სარფში მცხოვრები ლაზებისაგან ჩაწერილი ზღაპრები, რაც საშუალებს გვაძლევს სრულყოფილად გავაანალიზოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ლაზური საზღაპრო ეპოსი (კერძოდ, ის ჯადოსნური ზღაპრები, სადაც საუბარია გერ-დედინაცვლის ურთიერთობაზე) და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ ლაზურ საზღაპრო ეპოსში სიკეთე-ბოროტების პრობლემას უკავშირდება გმირისა და ანტიგმირის ურთიერთობა, რაც საბოლოოდ ზღაპრის გმირის გამარჯვებითა და ანტიგმირის დამარცხებით მთავრდება ე. ი. სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე.

ბოროტ დედინაცვალსა და მის განებივრებულ გოგოს ღმერთი სათანადოდ სჯის. კეთილი და შრომისმოყვარე გერი ყველა გაჭირვებას ღირსეულად გადალახავს და უფლისწულის მეუღლე ხდება.

საკვანძო სიტყვები: ლაზური, ზღაპარი, ზეპირსიტყვიერება, გერი, დედინაცვალი, გმირი, ანტიგმირი.

შესავალი: ზღაპარი ეპოსის ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი ჟანრია. საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია საზღაპრო ეპოსის ღირებული ნიმუშებით, რომლებმაც ქართველურ ტომთა არქაული ეპოქიდან ბოლო დრომდე ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობის მრავალმობაიკურ სპექტრი შექმნეს.

ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსიც ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია; ამ უძველესმა ქართველურმა ტომმა შექმნა და შემოგვინახა ზღაპრის ყველა სახეობა, თუმცა, ამჯერად განვიხილავთ იმ ლაზურ ჯადოსნურ ზღაპრებს, რომელშიც ნათლად არის გამოკვეთილი გერ-დედინაცვლის ურთიერთობის ამსახველი ამბები.

საანალიზოდ წარმოდგენილი ზღაპრები სავლემ მუშაობის დროსაა მოძიებული და მნიშვნელოვანია როგორც ფოლკლორული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ლაზურ ხალხურ სიტყვიერებაში ზღაპარს წამყვანი ადგილი უკავია; თუმცა იგი სპეციალური შესწავლის საგნად ჯერ არ გამხდარა.

ლაზური ზღაპრების რამდენიმე ნიმუში სხვადასხვა დროს ჩაიწერეს და გამოაქვეყნეს ი. ყიფშიძემ, ა. ჩიქობავამ, ს. ჯიქიამ, ს. ჟღენტმა, გ. კარტოზიამ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ თანდილაევამ გამოსცა ლაზური ზღაპრების კრებული ქართულ ენაზე – სადაც შეტანილია ამ მეცნიერთა მიერ მოძიებული რამდენიმე ზღაპარი. აგრეთვე, მის მიერ

სოფელ სარფში ჩაწერილი ზღაპრები და ნათელს გვიქმნის ამ სოფლის მკვიდრთა ტრადიციულ დამოკიდებულებაზე საზღაპრო ეპოსის მიმართ.

1967 წელს, პარიზში, ფრანგმა ქართველოლოგმა ჟ. დიუმეზელმა გამოაქვეყნა ლაზური ფოლკლორული მასალები. მასში წარმოდგენილია ძირითადად ზღაპრები და გადმოცემები. ეს ტექსტები დიდ ყურადღებას იმსახურებს არა მარტო ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ ფოლკლორული თვალსაზრისითაც და გარკვეული წვლილი შეაქვს ლაზური ზეპირსიტყვიერების შესწავლაში.

მეთოდოლოგია: აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე გამოვიყენეთ ყველა ემპირიული მასალის მოპოვებისათვის ფოლკლორში ნაცადი ყველა ხერხი, ასევე ანალიზისა და შედარების მეთოდი.

შედეგები/დისკუსია: გერ-დედინაცვლის ურთიერთობაზე აგებული სიუჟეტი ერთ-ერთი წამყვანია არამარტო ქართული, არამედ მსოფლიოს ყველა უძველეს ხალხთა საზღაპრო ეპოსისათვის; ამგვარ დომინანტურ ურთიერთობას კი, ბუნებრივია, განაპირობებს ზოგადად ზეპირსიტყვიერების, კონკრეტულად კი ხალხური ზღაპრის უმთავრესი ფუნქცია – იზრუნოს სოციუმის გაკეთილშობილებაზე, ადამიანებს უქადაგოს ჯანსაღი მოქალაქეობრივი იდეალები, რათა ამ ზნეობრივ სათნოებაზე აღიზარდოს მომავალი თაობა.

ბუნებრივია, ოდითგან ამგვარი ზოგადკაცობრიული იდეალების სამსახურშია ლაზური ფოლკლორული შემოქმედებაც და მისი ერთ-ერთი გამორჩეული ჟანრი – ზღაპარი.

ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსი ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენი წინაპრების მსოფლმეგობრება და მასზე დაფუძნებული ზეპირსიტყვიერება ერთი, მთლიანი, განუყოფელია ყოველი ქართველური ტომისათვის და მათი იდენტობის ერთ-ერთი დასტურიცაა (ნარაკიძე, შიოშვილი, 2015:439).

ლაზური ხალხური ზღაპრის პერსონაჟები, როგორც ლაზური ფოლკლორის მკვლევარი-ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ თანდილავა მიუთითებს, ძირითადად ლაზურ ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციული წეს-ჩვეულებების, ეროვნული ხასიათის მატარებლები არიან (თანდილავა, 1970:5).

როგორც საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული რეგიონი, ლაზეთიც მდიდარია ჯადოსნური საზღაპრო ეპოსით, რომლებსაც ცოცხალი კავშირი აქვთ ხალხის ისტორიასთან, მის ყოფასთან.

ლაზურ ჯადოსნურ ზღაპრებში ნათლად გამოიხატება ჩვენი კოლხი წინაპრების მსოფლმხედველობა, სწრაფვა უკეთესი მომავლისადმი, მათი ფიქრები, ოცნებები და, რაც მთავარია ქართული მოდემის მუდმივი თანმდევი ოპტიმიზმი – რწმენა ბოროტების დამარცხებისა და სიკეთის გამარჯვებისა.

ლაზურ ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება, ზოგადქართული და მსოფლიოს მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი გერდედინაცვლის სიუჟეტის შემცველი საზღაპრო ნარატივები, რომლებიც ხშირად ქართული ხალხური ეპოსის – „ეთერიანის“ სიუჟეტის ნაწილადაც გვევლინება.

ჩვენ მიერ 2014 წელს გაღმა სარფში (თურქეთის რესპუბლიკა) ჩაწერილ ზღაპარში „პროლონი“ („გერი“) ამ ტიპის ზღაპართა ტრადიციის თანახმად, ბოროტი დედინაცვალი ჩაგრავს გერს, საკუთარ ქალიშვილს კი ათამამებს: შუა ზამთარში, ძალიან რომ გათოვდა, დედინაცვლის ქალიშვილმა გერს კალათი შეაჩეჩა ხელში და უბრძანა:

– „მარწყვს სანამ არ მოიტან, არ მოხვიდეო“.

საბრალო გოგო ტირილ-ტირილით გაუდგა გზას და ერთი დედაბრის სახლს მიადგა. კეთილმა გოგონამ დედაბერი გაასუფთავა, სახლი დაულაგა და ამ სიკეთის საფასურად სიკეთითვე დაჯილდოვდა: ჯადოქარი დედაბრისა და მისი შვილების (რომლებსაც, ასევე, სიამოვნებით მოეხმარა) წყალობით, გერი გოგონა გალამაზდა, გაცინებისას გოგონას ლოყებზე ყვავილები გადაეშლებოდა, ტირილისას ლეღვები ჩამოეკიდებოდა, ხოლო ყოველი თავის დაბანაზე ოქროები სცვიოდა.

მადლიერმა დედაბერმა და მისმა შვილებმა მარწყვით სავსე კალათიც გაატანეს გოგონას და გაისტუმრეს.

ბოროტმა და შურიანმა დედინაცვალმა, რაკი გერი გალამაზებული და დაჯილდოებული დაინახა, თავისი ქალიშვილიც მარწყვზე გაგზავნა იმ იმედით, რომ მისი ქალიშვილიც ისეთი ლამაზი გახდებოდა, როგორც გერი.

დედინაცვლის ქალიშვილიც დედასავით ბოროტი იყო, დედაბერსა და მის ვაჟიშვილებს უპატივცემულოდ მოექცა, შეურაცხყოფა მიაყენა და ის დაიმსახურა, რომ ტირილის დროს თვალებზე მორიელები ეკიდებოდნენ, გაცინებისას ლოყებიდან მატლები სცვიოდა, ხოლო მარწყვის ნაცვლად კალათიდან გველები გადმოუცვივდნენ.

სახლში დაბრუნებულმა გოგონამ დედამისი რომ დაინახა, ლოყებიდან მატლები ჩამოუცვივდა; ამის დანახვაზე ატირდა და თვალებზე მორიელები ჩამოეკიდა. დედა მორიელებს მივარდა, მათ კი დედა-შვილი დაგესლეს და ორივენი დაიხოცნენ. ზღაპრის ბოლოს მთქმელი დასძენს: „სახლკარიც გერს დარჩა და როგორც უნდოდა, ისე დასახლდა“ (ნარაკიძე, შიომშვილი, 2015:452).

ამავე სიუჟეტის ზღაპარი ჩაუწერია ცნობილ ფრანგ ენათმეცნიერ-კავკასიოლოგს, ფოლკლორისა და შედარებითი მითოლოგიის გამოჩენილ მკვლევარს ჟორჟ დიუმეზილს თურქეთში სათაურით „თხოზინერი პროლონი“ („დევნილი გერი“) (დიუმეზილი, 2009:172).

ლაზური ზღაპრის ეს სიუჟეტი მნიშვნელოვან მსგავსებას იჩენს რუსულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილ ზღაპართან „თორმეტი თვე“.

ცხოვრების უმარტივესი ფორმიდან ურთულესისაკენ ლტოლვის გზაზე დედამიწის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ხალხებს საკმაო შეხვედრის ნიუანსები ჰქონდათ. ამიტომაც, ეპიკური ზღაპრული სიუჟეტების დიდი ნაწილი საერთაშორისო ხასიათისაა; ამდენად, ყოველი ხალხის ნაციონალური ეპოსი მუდამ შეიცავს ამ საერთო ფონდის გარკვეულ ნაწილს.

ქართველური ტომები ოდითგან კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყვნენ აღმოსავლეთის მაკმადიანურ და დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან, რამაც, ბუნებრივია, სათანაო ასახვა ჰპოვა ზეპირსიტყვიერ მემკვიდრეობაზე.

თავისი მნიშვნელობით ლაზური ზღაპრები „მჭითა პაპუწი“ („წითელი ქოში“) რომელიც ჩაიწერა ფრანგმა მკვლევარმა დიუმევილმა და პროფ. გ. კარტოზიას მიერ ჩაწერილი ზღაპარი „ფადიმე კადუნი“ (კარტოზია, 1972:57), რომელიც, აგრეთვე, შეიცავს გერ-დედინაცვლის ტრადიციული სიუჟეტის ელემენტებს, სცილდება ქართული ფოლკლორის ფარგლებს.

გოგონა კეთილი, მწვანე ტანსაცმლიანი ფერიის დახმარებით მოხვდება მეჯლისში, სადაც ფადიშახის შვილი ირჩევს საცოლეს. ამ გოგონათი მოხიბლული ფადიშახის ძე სულ მასთან ცეკვავს. გოგონა ასრულებს კეთილი ფერიას დანაბარებს და გათენებამდე რომ დარჩება ერთი საათი, სახლში გარბის. მას წითელი ქოში გასძვრება და, მეფის ვაჟის ბრძანებით, მოიძებნება ქოშის პატრონი გოგონა, რომელსაც მეფის ვაჟი ცოლად შეირთავს (დიუმევილი, 2009:168).

ამავე შინაარსისაა პროფ. გ. კარტოზიას მიერ ჩაწერილი ზღაპრის „ფადიმე კადუნის“ სამივე ვარიანტი, რომელთა ძირითადი სიუჟეტური ქარგა ამგვარია: დედინაცვალი თავისი ქალიშვილებით მიდის სამეფო მეჯლისზე: ფადიმე კადუნს – ათვალისწინებულ გერს, კი რთულ დავალებას ამღევს: ერთმანეთში აურევს სიმინდისა და ხორბლის მარცვლებს და მის გარჩევას დაავალებს. ნამტირალევ გოგონას ქათმები დაეხმარებიან და გაარჩევენ არეულ მარცვლებს. დედისეული ძროხის დახმარებით, მდიდრულად გამოწყობილი ფადიმე კადუნიც მიდის მეჯლისში. ფადიშახის შვილს მოეწონება გერი გოგონა და არ სცილდება მას. ფადიმე კადუნი მეჯლისიდან მალე გარბის სახლში, რადგან თუ არ დახვდება დედინაცვალს, იცის, რომ დაისჯება. წვეულებიდან გამოქცევის დროს მას გასძვრება ოქროს ფეხსაცმელი. ვეზირები ფადიშახის შვილის ბრძანებით იწყებენ ოქროს ფეხსაცმლის პატრონის ძებნას.

დედინაცვალი ცდილობს, როგორმე ფეხსაცმელი თავის ქალიშვილებს მოარგოს, მაგრამ სიმართლე მალევე გამომჟღავნდება და გერი გოგონა ფადიშახის შვილი მეუღლე ხდება.

ეს ორივე ზღაპარი გერმანული ზღაპრის გრიმებისეული ვერსიის „ნაცარგოგონა“-სა და ფრანგი მეზღაპრის შარლ პერის ზღაპრის „კონკია“-ს სიუჟეტებთან მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებს.

როგორც მსოფლიოს ხალხთა საზღაპრო ეპოსში, ისე ზოგადქართულ და კონკრეტულად ლაზურ ხალხურ ზღაპრებში დედინაცვალი, როგორც უარყოფითი პერსონაჟი, შურიანი და ეგოისტია, მისი ქალიშვილი კი – გონჯი და ზარმაცი. ბოროტი და შურიანი დედინაცვალი გერის დამცირების ხარჯზე ცდილობს საკუთარი შვილის გამოსწორებას, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს.

ლაზურ ზღაპარში „კანჩაშენ კანჩაშა“ („კაუჭიდან კაუჭზე), რომელიც ჩაიწერა დიუმეზილმა კარგად გამოჩნდა შურიანობა და გაუმაძღარობა დედინაცვლისა. იგი გერს ძალიან ცუდად ექცეოდა, თავის ასულს კი ანებივრებდა. ყველა საქმეს გერს ავალეზდა. ერთ დღეს დედინაცვალმა გერ გოგონას ძროხა სამოვარზე წააყვანინა და კანაფის ძაფის დართვაც დაავალა, ქალიშვილი ტირილ-ტირილით წავიდა, ნერვიულობდა, მოასწრებდა თუ არა ძაფის დართვას, მაგრამ ძროხის დახმარებით დართული კანაფის ძაფის გორგალი მოიტანა და დედინაცვალს ჩააბარა. დედინაცვალი გაოცდა, ამდენი საქმე როგორ გააკეთაო, და, გაბოროტებული უფრო ცუდად მოიქცა – ორი თუნუქი სიმინდი მისცა დასაფეკვავად და სიბნელეში წისქვილში გაუშვა.

წისქვილი ღამით ჭინკების თავშესაფარი იყო, რაც კარგად იცოდა გოგონამ; ამიტომ ტირილით და შიშით წავიდა; რომ არ წასულიყო, დედინაცვალი დასჯიდა. წისქვილში მისულს ჭინკებმა სთხოვეს, მათთან ეცეკვა. გონიერმა გოგონამ კარგად იცოდა, ამას რაც მოყვებოდა, და გადაწყვიტა, დრო გაეწელა გათენებამდე. ამიტომ, სანამ ცეკვას დაიწყებდა თანდათან ითხოვდა, მოეტანათ ფეხსაცმელი, წინდები, კაბა, თავსაფარი, სარკე, მოსასხამი, გოგონას ამგვარად დრო გაჰყავდა. ყველა ნივთი თითო-თითოდ მოატანინა; ამასობაში, გოგონა საცეკვაოდ რომ ააყენეს, მამალმაც იყივლა. გათენდაო და ჭინკებიც გაიქცნენ.

გოგონა თავისი ნივთებითა და დაფეკვეული სიმინდით უვნებელი დაბრუნდა სახლში; შურიანმა დედინაცვალმა მეორე საღამოს თავისი ქალიშვილი გაუშვა წისქვილში, თან დააბარა, უფრო კარგი და მეტი ნივთები მოეთხოვა. ასეც მოიქცა დედინაცვლის ხარბი გოგო და ყველაფერი ერთდროულად მოითხოვა. ყველაფერი მიიღო, მაგრამ სიცოცხლე ცუდად დაასრულა. ჭინკებმა აცეკვეს, ცეკვა-ცეკვით დაგლიჯეს და კაუჭებზე დაკიდეს.

დედა შემფოთდა და შვილს წისქვილში მიაკითხა. დაინახა დაგლეჯილი შვილი და ყვირილი მორთო. ჭინკებმა დედაც დაგლიჯეს და კაუჭებზე დაკიდეს. ამრიგად, შურიანსა და ბოროტ დედა-შვილს საშინელი სიკვდილი ერგოთ.

ჯადოსნური ზღაპარი „ნანაშანტეში დო აჩეში მაწინდი“ („დედინაცვალი და აჩეს ბეჭედი“), რომელიც ჩავიწერეთ 2014 წელს გაღმა სარფში, გერ-დედინაცვლის ტრადიციულ სიუჟეტზეა აგებული, რომელსაც კარგად იცნობს ზოგადქართული საზღაპრო ეპოსი.

სიკვდილის წინ დედამ ხუთი წლის ქალიშვილს ბაბუამისის ნაჩუქარი ბეჭედი დაუტოვა და გააფრთხილა, მხოლოდ კეთილი სურვილების შესასრულებლად გამოეყენებინა და ეს ამბავი არავისათვის გაენდო.

მალე მამაც გარდაიცვალა და დედინაცვალმა გერის შევიწროება დაიწყო. გერს, როგორც ამ ზღაპრის სხვა ზოგადქართული ვარიანტებისათვის არის დამახასიათებელი, ოჯახის ძალი და კატა თანაურგძმობდნენ. მათი მეგობრობა ამარცხებს ბოროტი დედინაცვლის ათასგვარ ხრიკს, დაიბრუნებენ დედინაცვლის მიერ მიტაცებულ ჯადოსნურ ბეჭედს და, როგორც ზღაპრის ბოლო მოგვითხრობს, მანათობელი მზის ქვეშ ჩიტებთან ერთად ჭიკჭიკებდნენ და მღეროდნენ.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო ლაზური ზღაპრის მთავარი პერსონაჟი–გერი გოგონა საკუთარი სახელით (აჩე) არის წარმოდგენილი, რაც იშვიათია საზღაპრო ეპოსისათვის. ზღაპრის დასასრულს კი ვეცნობით ლექს-სიმღერებს, რომლებითაც ერთმანეთს ესიყვარულებიან მეგობრები: აჩე, კატა და ძალი.

დედინაცვალი რაც უნდა კარგი იყოს, მაინც დედინაცვალიაო. ამ ფრაზას ეხმიანება პროფ. გურამ კარტოზიას მიერ ჩაწერილი ლაზური ზღაპარი „ნანაშანტეში“ („დედინაცვალი“): ქალი გაჰყვა ქვრივ კაცს, ოჯახში დახვდა გერი, მასაც გაუჩნდა ვაჟი. ქალი ცუდად არ ექცეოდა გერს, მაგრამ მაინც ანსხვავებდა, ყველაფერი საუკეთესო მისი შვილისთვის უნდოდა, მაინც შვილისკენ იხრებოდა.

ერთ საღამოს ძალიან უცნაური სიზმარი ნახა: შვილს მუცელში დიდი ხე ამოსვლოდა; შეშინებულმა დედინაცვალმა სიზმარი გერს მიაკუთვნა და სიზმრის ასახსნელად ხოჯასთან წავიდა. სასულიერო პირმა სიზმარი აუხსნა და თან უთხრა:

–„ამ სიზმარზე კარგი სიზმარი არ იქნებაო, ეს ბიჭი დიდი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გახდებაო“. დედინაცვალი შეწუხდა და ხოჯას სინანულით აცნობა: – „სიზმარი ჩემი ბიჭისა იყო, მაგრამ გერისთვის ვთქვიო“.

ხოჯამ უთხრა: „მე სიზმარი გერს მივაკუთნეო და აწი ის უნდა გახდეს დიდი კაციო“ (კარტოზია, 1972:130).

ამ ჯადოსნურ ზღაპრებში დედინაცვალი ტრადიციულად, უარყოფითი პიროვნებაა, იგი შურიანი, ეგოისტი და ბოროტი ადამიანია. ათვალისწინებულ გერს უდიერად ეპყრობა: აშიმშილებს, დღე და ღამ ჯაფაში ჰყავს. მიუხედავად ამისა, მშიერ-მწყურვალ, ჩაუცმელ–დაუხურავ

გერს ბოლო მაინც უმართლებს – მეფის შვილის მეუღლე ხდება, ბოროტსა და შურიან დედაშვილს კი საშინელი სიკვდილი ხვდათ წილად.

ამრიგად, გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცვლელი ლაზური საზღაპრო ეპოსი, ზოგადქართულისა და მსოფლიოს სხვა უძველეს ხალხთა ნარატივების მსგავსად, სიკეთე-ბოროტების ჭრილში განიხილება: ბოროტი დედინაცვალი და მისი უსაქმური შვილი ისჯებიან, შრომისმოყვარე და კეთილშობილ გერს კი აუცილებლად ჰყავს დამსაჩუქრებლები, რომელთა დახმარებითაც იგი მუდამ გამარჯვებულია.

საყურადღებოა, რომ დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი სარფელი ლაზების ზეპირსიტყვიერებაში გერ-დედინაცვლის სიუჟეტი კვლავაც ტრადიციულ სიუჟეტურ ქარგას მიჰყვება, რაც ლაზური ფოლკლორის სხვა ტრადიციულ ჟანრებთან ერთად, აშკარას ხდის, რომ გაღმა სარფელთა ისტორიულმა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემონახა ტრადიციული, ზოგადქართული საზღაპრო სიუჟეტები იდენტური ფუნქციით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიუმეზელი, 2009: – ჟორჟ დიუმეზილი, „ლაზური ზღაპრები“, თბილისი, 2009.
2. თანდილავა, 1970: – ზურაბ თანდილავა, „ლაზური ზღაპრები“, თბილისი, 1970.
3. კარტოზია, 1972: – გურამ კარტოზია, „ლაზური ტექსტები“, თბილისი, 1972.
4. ნარაკიძე, შიომშვილი, 2015: – ციალა ნარაკიძე, თინა შიომშვილი, „სარფი“, ბათუმი, 2015.